

572  
1984

ISSN 0132-3965  
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՅԵՐԵՎԱՆԻ ՄԱՍԻՍԻ



№ 3 ԾԱՐԿԻ 1984Ծ.

ՀԱՅԿ



მხატვარი ნანა ზურაბულია

**პარკი**

8—ქალთა საერთაშორისო დღე.  
 18—პარიზის კომუნის დღე.  
 24-31—მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგები. საბავშვო წიგნის კვირეული.  
 27—თეატრის საერთაშორისო დღე.



აპაი წარბეული

# გაუაზხუდის მაყკაბი

მიიზრებ ზამთარი,  
 ძალ-ღონე გამოელის,  
 და თუალს ანიდებს გაზაფხულს,  
 — რა ცუდი მასწინებელია!..  
 მის ნაცვლად ჰელით  
 შუშუნა, მშვენიერია!  
 იმისი ტანისამოსი  
 უცხო და მრავალფერია!  
 წინ მოუძღვიან ჩიტები  
 მკურეულით საამუროთა,

ბულბული ნანგი დახვდა ბა  
 და შაჰი სალაპურითა!  
 მერცხალი მასარ ბელი  
 ჭიბჭივით მონაჯარდია,  
 და სურნელების მუენელად  
 მსად ზამბახ, ია-ვარდია!  
 ძვეუნა მჯახს გაისწინს,  
 გული დაშვეებს ძეგრასა,  
 და საიდუმლო სიმებით  
 იწეებს ბუნება ჭღერას!

# მატომბრები მატომბრის ქვეყანაში

ჟურნალი „დილა“ თავისი საგანგებო ჯილდოთი — სიგელით აღნიშნავს ოქტომბრელთა იმ ჯგუფს, რომლის ყველა, ხუთივე წევრი ან რაიმე განსაკუთრებით საინტერესო ამბავს გაცნობს თავის ვარსკვლავის წევრებსაც და სხვა თანატოლ ამხანაგებსაც, ანდა თავის საპატიო წვლილს შეიტანს საქვეყნო საქმეში — შეაგროვებს დიდძალ ჯარსს, მაკულატურას, სამკურნალო ბალახებს... სამომავლოდ ხეებს დარგავს...

დიდა ოქტომბრის ქვეყანა, — თქვენი სამშობლო, ოქტომბრელებო! თუ გინდათ ნამდვილად მისი ღირსეული შვილები იყოთ, უნდა ეცადოთ თქვენი ძალ-ღონისა და შესაძლებლობის შესაფერი წვლილი შეიტანოთ მისი შენების საქმეში. თქვენ ხომ ოქტომბრელთა ორგანიზაციის, ანუ გაერთიანების წევრები ხართ! და ლენინი ასე ამბობდა: ბავშვთა ორგანიზაციამ ახალი თაობა ახალი ცხოვრების მშენებლად უნდა აღზარდოსო. ხოლო იმისათვის, უნება რომ შეძლოს ადამიანმა, ცოდნა უნდა ჰქონდეს, ცოდნას რომ დაეუფლოს — ბეჯითად, გულმოდგინედ უნდა ისწავლოს.

სამშობლოს ღირსეული შვილები თუ გინდათ იყოთ, იმასაც უნდა ეცადოთ, კარგად გაიცნოთ ის — მისი წარსულიც, მისი დღევანდელიც, მისი ადამიანებიც. ამ მიზანს ისახავს საკავშირო თამაში-მოგზაურობაც „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“. უთუოდ გახსოვთ, რომ ამასწინათ, ჟურნალ „დილის“ მე-10 ნომერში, ერთად ვიმოგზაურეთ რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ქალაქში — გეორგიევსკში. მაგრამ ვინ იცის, თქვენ თვითონ, უჩვენოდ, კიდევ რამდენი ადგილი გაიცანით, რამდენი საინტერესო რამ შეიტყვეთ თქვენი სამშობლოს — თქვენი ქალაქის თუ სოფლის, თქვენი სკოლის თუ სახლის შესახებ. ოქტომბრელთა საკავშირო თამაში-მოგზაურობა ხომ გრძელდება!.. მისი მეორე ეტაპი, ანუ საფეხური ეძღვნება შესანიშნავ თარიღს — ჩვენი ქვეყნის პიონერისა და კომკავშირისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელის მინიჭების მე-60 წლისთავს.

თამაშის მონაწილე ყველაზე აქტიურ ოქტომბრელებს, რაზმეულის საბჭოს გადანაცვლებით, საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სამკურნელო ნიშნით დააჯილდოებენ, ოქტომბრელთა ჯგუფებს კი — ცენტრალური საბჭოს ვიმპლებით.

იქნებ შენს მეზობლად ომის ვეტერანი ცხოვრობს, ბოცო?

გვანცა, ბიძაშენი ხომ გამორჩენილი სპორტსმენია?

მავს მამა კი საქვეყნოდ სახელმძღვანელო მუშაკაცია!

რამდენი ვინმეა თქვენს გარშემო, ვისაც შეუძლია ათასი საინტერესო რამ გაიმეოთ ჩვენი ქვეყნის თავგადასავლიდან, ჩვენი ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, მეურნეობის ისტორიიდან.

ახლა ის თუ იცით, თქვენი შეგროვილი უსარგებლო ჯარით რომ გადადნება, იმ ახალი ლითონიდან რამდენი საჭირო რამ შეიძლება გაკეთდეს? ანდა არაფრის მაქნისი ძველი ქაღალდებიდან თუ ნაკუნებიდან რამდენი ახალი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი დამზადდება? რამდენი წამალი გაკეთდება თქვენი მოგროვილი სამკურნალო ბალახებიდან, რამდენი ხე აშრიალდება მომავალში და თავისი ჩრდილით თუ ნაყოფით გაგახარებთ თქვენც და სხვებსაც.

აბა, ოქტომბრელებო — ოქტომბრის ქვეყნის შვილებო, თქვენი საქმეები დაანახვეთ სამშობლოს! აბა, ვინ გახდება თამაში-მოგზაურობის საუკეთესო ჯგუფი — ყველასათვის საამაყო „შუქურვარსკვლავი“, ვინ დაიმახებურება „დილის“ საპატიო სიგელს?



კ. შარჭიას ს.ხ. საქ. სსრ საბჭოთაო კომუნისტური პარტია



# ზანღის კომუნა

ენხარ ნიშარაძე

ზნატარი თემურ ზნიკიძე

ბავშვებო! კაცობრიობის ისტორიას ბევრი სახალხო აჯანყება ახსოვს. ადამიანები ყოველთვის იბრძოდნენ ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი სახალხო აჯანყება იყო პარიზის კომუნა.

მუშათა კლასის დიდმა ბელადმა კარლ მარქსმა პარიზის კომუნას „ახალი საზოგადოების წინამორბედი“ უწოდა.

1871 წლის 18 მარტს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში შეიარაღებულმა მუშებმა თავიანთი რევოლუციური მთავრობა — პარიზის კომუნა შექმნეს.

ერთ-ერთ იმდროინდელ დოკუმენტში წერია, რომ კომუნართა შორის იყვნენ მწერლები, ზეინკლები, მექანიკოსები, დურგლები, ნოქრები, ხარაზები და სხვა. ფრანგებთან ერთად კომუნაში სხვა ეროვნების ღირსეული შვილებიც მონაწილეობდნენ.

პარიზის კომუნამ სულ 72 დღე იარსება, მაგრამ ამ მოკლე დროშიც ბევრი რამ გააკეთა: მოაწყო საბავშვო ბალები, უფასო სკოლები, სახალხო კლუბები. ზრუნავდა ღარიბებზე და უმუშევრებზე. გამოუშვა მთელი რიგი დემოკრატიული კანონები.

კომუნარების ერთ-ერთი მოწოდება ასეთი იყო: „პარიზს უნდა: მინა — გლეხებისათვის, სამუშაო იარაღი — მუშებისათვის, სა-მუშაო — ყველასათვის“.

კომუნარები ასე მიმართავდნენ საფრანგეთის მშრომელ გლეხობას: „ძმაო, შენ გატყუებენ! ჩვენი ინტერესები ერთი და იგივეა. ის, რასაც მოვიტხოვ მე, გინდა შენც: გათავისუფლება, რომელსაც ვცდილობ მე, შენი

გათავისუფლებაცაა“.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელიც ვერ ურიგდებოდა ხელისუფლების დაკარგვას, გადაწყვიტა აჯანყება სისხლში ჩახშობა. 21 მაისს პარიზში კბილებამდე შეიარაღებული ასიათასიანი არმია შეიჭრა. ერთ კვირას გრძელდებოდა მრისხანე ბრძოლა. 582 ბარიკადი ააგეს პარიზელებმა, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო და ამიტომ კომუნა დამარცხდა.

უფროსი კომუნარების გვერდით ბავშვებიც იბრძოდნენ. ბევრი მათგანი დაიღუპა ბარიკადებზე. ისინი დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰუგოს რომან „განკიცხულნი“ გმირის — გაეროშის თანატოლები იყვნენ.

როდესაც თქვენ წამოიზრდებით, ნაიკითხავთ ამ რომანს და პატარა გაეროში ალბათ ისევე შეგიყვარდებთ, როგორც ის თქვენს დედებსა და მამებს უყვარდათ.

პარიზის კომუნის ერთ-ერთი თანამედროვე, ისხენებს რა ბარიკადების დამცველებს, წერს: „ტყვე ბიჭუნა მივიდა ოფიცერთან და დედასთან დამშვიდობების უფლება თხოვა. დედა მახლობლად ცხოვრობდა და ბავშვს მისთვის მოსაგონრად ვერცხლის საათის დატოვება სურდა. ოფიცერმა გაუშვა ბიჭი, თუმცა არ სჯერებდა, რომ ის უკან დაბრუნდებოდა. რადენიმე წუთში ბიჭუნა უკან დაბრუნდა და იმ კედელთან დადგა, სადაც მისი ამხანაგები დახვრიტეს“.

ოქნებ სწორედ ამ ბიჭუნა წერდა ვიქტორ ჰუგო თავის ცნობილ ლექსში „ბარიკადებზე“.

# ბარიკადებზე

ბარიკადებზე, შუა ქუჩაში,  
 სადაც სიკვდილმა უშპინვარებსა  
 ცოდვილის სისხლი საღისის სნეტაჲი  
 და უცოდვილო სისხლით წაღება,  
 კამუნარების გვირდით შეიჭრეს  
 ბატარა ბიჭი, ალბათ თორმეტის.  
 — შენც ამათთან ხარ?— მან უპასუხა:—  
 დიას, მე ამათ ვერ მოვშორდები.  
 — შენს ჯერს მოუცდი, ვეელას დაგხვრეტენ,  
 ასეთი იყო სიტუვა ოფიცრის,  
 და იღვა ბავუვი ტუვიის კაშკაში,  
 რომ გაემართა მხერა თოფისთვის.  
 ის შეჭურებდა, თუ კამუნარებს  
 როგორ სოცაგდენს სახლის კედლებთან,  
 მერე ოფიცერს მიეჭრა ბიჭი  
 და მის თვალებში იყო ვედრება.  
 უთხრა: გაპიშვი, თუ შეიძლება,  
 მე საათს აქვე დედას მიკუტან,



ფრანგულიდან თარგმნა ბიჭი ბავუპიურომა

— გაქცევა გინდა?— მე დაგბრუნდები...—  
 იმეორებდა ბავუვი ჯიუტად.  
 — სომ არ შემიინდი, სად ცსოვრობ, ლეგო?  
 — აქვე, შადრეანის წინ რომ სახლია,  
 გოსოფთ, კაპიტანო. მე დაგბრუნდები...—  
 ჯარისკაცები სიცილს აერინან.  
 — წადი, ჯანდაბას!— თქვა ოფიცერმა—  
 ჯილდო გეკუთვნის კშპაკობისთვის!  
 და მთელ მიღამოს ეფრებოდა  
 ხარხარი რაზმის და იმ ოფიცრის,  
 ის ირყოდა კაცთა ხროტინში  
 და იცინოდა თითქოს სიკვდილი,  
 მაგრამ უცნოდ შეწედა ხარხარი...  
 ბავუვი ამაჲი და ფერმიხდილი  
 კვლავ აღიმართა მოულოდნელად,  
 უკვე არავინ ელოდა რადგან,  
 — აი, მოკვდი,— უთხრა კაპიტანს  
 და ქედმაღლი კედელთან დაღვა.

მეფა პახიძე

### მეჩხალი

კვლავ დაუბრუნდი  
შენს კერს,  
შენს წყაროს,  
მოხველ მშვიდობით,  
კარგო მერცხალო!  
ვაი თუ დარდს  
ნიშნავს  
ფრთების სიშავე,  
მოდი, არაფერს  
არ ღავიშავებ.  
იფრინე,  
გავშლი  
შენს წინ ია-ვარდს,  
შენთვის, მერცხალო,  
კარი ღია გვაქვს!



### ანძელა

მოვედი.  
ზამთარს სუსხიანს  
თავი  
ძლივს გამოვალწიე.  
მერცხალოზე ადრე  
მოვედი.  
არ შევეპუე  
ჭარ-წვიმებს,  
რომ გაზაფხული  
პირველმა  
მე მივულოცო  
პაწივებს.



### აი ია

შეხე!  
იების ხალიჩას  
მინდორი დაუქარგია.  
რა სურნელი აქვს  
დალოცვილს,  
რა ლამაზი ლა-  
კარგია.  
ეს ის იაა, რომელიც  
"ღვდა ენაში" ხატია!



# ჯაჯილი

— გამიფი რა, გამიფი ზევით — შეეხეეწა ახლადლაბადებული ჯეჯილი თავზე დამსობილ მიწის გორიხს.

— ადგილიდან ვერ დავძრულვარ და როგორ გავიშვა? — გაეპასუხა გორიხს.

— იქნებ ცოტა მაინც გაიწიო გვერდზე? — არ შემიძლია!

— ვაი, როგორ მესუთება სული, მე ხომ ძალიან სუსტი ვარ, თანაც პატარა, ახლა გავიღვიძე.

— ფეხები მე არ მაქვს და ხელები, ვინმემ თუ არ გადამაგორა, ადგილიდან ვერ დავიძვრები, — თავი იმართლა გორიხმა.

— მე რა მეშველება, — ლამის ატირდა ჯეჯილი.

— ცოტა მოითმინე, წვიმა მოვა და გეშველება!

— ვინ მოვა?

— წვიმა!

— რისთვის?

— დამასველებს, დამალბობს, და მაშინ გზა გაგეხსნება.

— მართლა?

— კი. ცა შავი ღრუბლებით არის დაფარული, გაწვიმდება.

— ღრუბლები რაღაა?

— ეე, როგორ გეტყობა, რომ ახლა მოველინე ამ ქვეყანას. ღრუბლები ორთქლად-ქცეული წყლის ბაწაწინა წვეთებია, ზღვები და ოკეანეები უგზავნიან ცას. ავა ორთქლი მალა, ძალიან მალა, განდება ღრუბელი, ღრუბელი წვიმად გარდაიქმნება და მიწას დაეპყრება. წვიმა შენც მოგიხდება, ფესვებს დაგისველებს, მალე გაიზრდები.

ცამ დაიგრუხუნა, ისე დაიგრუხუნა, მიწა შეზანზარდა.

— რა მოხდა? — შიშით იკითხა ჯეჯილი.

— იქუხა, საავდრე ღრუბლებში გლვა ჩნდება და ხმას გაიდებს ხოლმე.

— რა ბრაზიანი ყოფილა ღრუბელი?

— ბრაზიანი არა! — გაიცინა გორიხმა, — ღრუბელი გვაფრთხილებს, წვიმა მოდის და თუ ბიჭი ხარ, დახედიო.

— ჯერ არა წვიმს?  
— არა, ისე კი ძალიან ჩამობნელდა, მალე გაავდრდება.

— სიბნელე რაღაა?

— საცა ხარ, რამეს ხედავ?

— ვერაფერს!

— აი ეგ არის სიბნელე, როცა ირგვლივ ვერაფერს ხედავ!

— ნეტავი მეც დამანახვა გრუხუნა ღრუბლები, მაჩვენა, როგორ წვიმს ციდან.

— მიწას რომ ამოსცდები, ყვალაფერს ნახავ, თუმცა ახლა ღამეა და მეც ძლივს ვარჩევ ღრუბლებს. აი დღისით კი სულ სხვა





შირდა. მიწა ახმაურდა, დასველდა, უფრო  
ჩაშავდა და ჩაქუნაპეტდა. მშრალი გოროხი  
ხარბად ყლაპავდა და ყლაპავდა წვიმის წვე-  
თებს, მთლად გაილუმბა, გაჟივდა, ცხელ ტა-  
ფაზე დადებული გრბოსავით დაიწყა დნობა.  
ჯეჯილმა შეება იგრძნო, წელში თანდა-  
თან გაიმართა, სიბნელეში ვერ ხედავდა, მაგ-  
რამ გრძნობდა, როგორ ქრებოდა მიწის გო-  
როხი, იშლებოდა მის ირგვლივ და სწორ-  
დებოდა. ახლა თავად აწვიმდა თავზე, გრი-  
ლი, საამური წვეთები ხან საით გადახრიდ-  
ნენ, ხან საით.

მთელი ღამე იწვიმა, იეუჟუნა, მიწა დალ-  
ბა და მაცოცხლებელი ნექტარით გაივსო,  
სინესტემ ჯეჯილის ფესვებამდე ჩააღწია და  
იმანაც ხარბად შეიწოვა გრძნობდა, როგორ  
იზრდებოდა, მაღლდებოდა და ზევით, ზევით,  
ცისა და ჰაერისაკენ მიიწევდა.

განთიადისას გადაიღო წვიმამ. ღრუბლები  
დათავთავდნენ, აქლემებივით აიხლახნენ ცი-  
დან და შორეულ მთებზე დაიდგეს ბინა.

აღმოსავლეთით დიდი, წითელი მზე ამო-  
ბრწყინდა, წითელი და მხიარული, დედასა-  
ვით თბილი და აღერსიანი. ვიღას არ მიე-  
ფერა, ოქროს სხივები მწვანედ გადაბიბინე-  
ბულ ჯეჯილსაც ჩააქსოვა, ნაწვიმი, სველი  
ფოთლები გაუბრწყინა.

ხნულის პირას ვილაც გლეხიკაცი მისუ-  
ლიყო, თვალგაბრწყინებული, გაღიმებუ-  
ლი, უსაზღვროდ ბედნიერი დასკტეროდა  
ჯეჯილს და ღლიინებდა: იხარღე, მწვანე ჯე-  
ჯილოო.

— ვინ არის, ასე ტკბილად რომ გვიმღე-  
რის?— იკითხა ჯეჯილმა.

— ეგ ადამიანია, — ჩაუჩურჩულა ყურში  
ნიავემა, — მაგან დაგთესა და თვალი აგხილა  
ვიღრე პურის ყანად იქცევი და გაგლეწავს,  
ზრუნვას არ მოგაკლებს.

— აი თურმე ვინ გვთესა და მოგვიყვანა  
ამ ქვეყნად. ჩვენც ერთი ასად ვიქცევით.  
ერთიასად გადაუხდით ამაგს. დალოცვილი  
ყოფილა ადამიანის მარჯვენა, — ჩაიშობილა  
ჯეჯილმა და ნიავის ქროლვას აჰყვა; ყური  
რომ დაგვედოთ, ადამიანთან ერთად ჯეჯი-  
ჯილიც მღეროდა. მღეროდა ჩუმად, ჩუმად.  
წვიმით გალუმპული და ცხრათვალა მზით  
გაბრწყინებული ჯეჯილი.

რამეა. ვიღრე ყანად იქცევი და ადამიანი  
გაგლეწავს, წვიმა ბევრჯერ მოგენატრება.

- ადამიანი გამლეწავს?
- ჰო, ვინც გთესა და მოგიყვანა.
- გოროხს წვიმის რამდენიმე წვეთი დაეცა.
- დაიწყო! — თქვა მან.
- წვიმა? — ჩუმი სიხარულით წამოიძახა  
ჯეჯილმა.
- ჰო, წვიმა!
- ახლა გამიშვებ მაღლა?
- გაგიშვებ, თუ დავსველდი!
- წვიმამ თანდათან მოუმატა, ხნულზე მოხ-





# სიყვარული

ზეპირმეტყველებაში ჯერ კიდევ არის გაბანული ისეთი სიტყვები, იმდაგვარი მარგალიტები, რომელთა მოძებნა და გამომჩვენება აუცილებელზე აუცილებელია. თუ უზრახები-საგან გაგიგონიათ რაიმე ქართული სიტყვა, რომელიც არც წიგნში შეგხვდებოდა, არც ლექსი-კონშია, მოგვაწოდეთ. ჩვენი მდიდარა ენის კიდევ უფრო გამდიდრება დიდი საშვილიწვილო საქმეა. ვინც ერთ სიტყვას მაინც ამოატვიტავებს მივიწყების ბურუსიდან, ჩვენი ჟურნალის ჯილდოს მიიღებს.

ჟურნალის ახალ განყოფილებაში — „სიტყვის კონა“ შეხედვებით იშვიათ ან მივიწყებულ სიტყვებს. თვალ ადავენეთ, დიამასხვრეთ და ეცადეთ, საუბარშიაც გამოიყენოთ, წერის დროსაც.

რუბრიკას უძღვება მწერალი  
ბარლო კობახიძე

## საკენჭური

ჩემს პატარა ბიჭობაში, თქვენი არ იყოს, ზოგჯერ მეც იმას ვაკეთებდი, რასაც მიშლიდნენ. რა დასაბამია და, ამიტომაც ამინვადნენ ხოლმე ყურებს და კანჭებს. ვიცი, განა არ ვიცი, მართალი რომ არ ვიყავი, მაგრამ ახლა რაღა ეშველება! არაფერი! ვინაიდან არაფერი ეშველება, ისღა დამრჩენია, სიმართლე ვთქვა, სიმართლის თქმა კიდევ მაშინაც კარგი ბიჭობა იყო და დღესაც კარგ ბიჭობად ითვლება.

მაშინ, ჩემს პატარა ბიჭობაში, აურზაური უფრო „ლაქატკის“ გულისათვის ატყდებოდა ხოლმე: ჩიტებს დაედევდით და ფანჯრის მინებს კი ვამსხვრევდით. როდის, სად დამალულა დამნაშავე და არც მაშინ იმალებოდა. დამნაშავის მშობელი სახლის პატრონებს ჯერ მოუბოდიშებდა, მერე ან


სამაგიერო მინას მიუტანდა ან მინის საფასურს — ნესი იყო ასეთი.


ვინ იცის, რამდენი ჩიტი მომიკლავს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვნუხვარ, როგორ მედარდება ახლა — დიდობაში. როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, ბავშვად რომ ვიქცე ისევ, არაფრით არ მოველავე ჩიტს.

„ლაქატკას“ ჩვენ თვითონ ვაკეთებდით: ორკაპა, მორჩილი შინდიდან გამოვჭრიდით ტარს, თავებს ამოვუფრჩხილავდით დანით, ზედ ძაფით დაეკარავდით რეზინებს, ბოლოში გაუყუეთბდით ტყავის ენას და „ლაქატკაც“ მზად იყო. ზოგი ლაქატკას ვეძახდით, ზოგი რავატკას, ზოგიც ლავატკას, არადა, არც ერთი არ არის სწორი. სამივე რუსული ენიდან მომდინარეობს — *рогатка*. *Роза* რქებს ნიშნავს და მართლაც, „ლაქატკას“ რქებს უგავს ტარი.

ამ რამდენიმე წლის წინ ბოღბისხევის ბაზრობაზე ვიყავი. ყური მოვკარი, ერთი ბიჭი რომ ეკითხებოდა მეორეს, რა ქენი, საკენჭურის რეზინები იშოვევ? თურმე ნუ იტყვი, „ლაქატკას“ არ ეძახიან საკენჭურს?! მართლაც მშვენიერი შესატყვისია.

ჩვენ, მწერლები, აქაოდა, ლაქატკა ქართული სიტყვა არ არისო, ნანარბოებში რომ გვჭირდებოდა ხოლმე, ამ სიტყვის ნაცვლად შურდულს ვწერდით. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კი აი რა წერია შურდულზე: „ქვის სასროლი იარაღი — ორად მოკეცილი ბანარი, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი აქვს ქვის ჩასადებად და სასროლად“. სად ესა და სად ის! თანაც შურდული მოქენეთი უნდა გაისროლო, საკენჭურის გასროლა კი ჩემგან აღარ გესწავლება.





ნაირა პალაზაშვილი  
**თაქრი**

ხელდე? უხარამაზარ ღრუბლებზე პაწაწინა ჯუშუჭები სვლან.

პაწაწინა მუშტებით, პაწაწინა საცრებებით ცრიან.

რას? რას და წყალს.  
რის? რის და ცრის.  
მერე რა? რა და -ცრის და ცრის.

### სირა ჰიბიაშვილი **მეჩხხალი თბილისი**

რას ჰიქიქებს მერცხალი? — იფ, რა ვ. იხარგო, ეს რა მოუხატ რათ შმობილიური მარგო. ფგარდფერად აიწნებს ტეჰკით დაეუარგო, ტაშე ჩანჩქერი მიკრავდა კლდეზე მოჩანჩქარეო. ყვაფილებში ჩაფულულა ირგვლივ მთელი გარემო, ბუღდეს აქ ავი მგნებ, აქ დაფრჩები ბარემო. — დაგვიჰიქიქებს მერცხალი: — იფ, რა გავიხარგო, ეს ჰეყყანა გიყვარდეთ, — შეიღებს დაეუბარგო.



ნინო პაპიაშვილი

### **ამოაჩი**

დაგრძელებული უფრებით, კბილადსილი ბაჭია გუშინ ბაღაში საომრად გაუსრგისათ მწვანელი, ბაძიოლა ყოფილა ისეთი, გაღარჩენაზე მთელ მოსტანს დაღეს ამოსულა იმელი. თურმე პატრონის უფრამდე, ბაღას უშველის მურალი? ბურჩის იქიდან დასცილის ბირლი ბაჭია, გულადი.

ლილა სპილია

### **საჩხაპარგო ღაძის ღელს**

გაზასკლდა ზამთრის ქარი შუქურბუღებს და ტყიან გორებს, მიღინაფს და დათვისთათა მიღინაფს გუნდას მიფორებს...

თოვლის გუნდას, ხან წიშის, ხანაც შუე გაზოდის, მარტის თვანა რვა მარტია, მარტის იგის ლურჯი კაშპლი მარტის თვანა რვა მარტია, ფთილა-ფთილა დაჭუნტია, კო, იამდენი ივბია.

გაზა-გაზა, ტყე-ტყე, ყორღე-ყორღე... თითო-თითოდ მარგო იგის და... ვენელებოც მოვაყოლო, ყორღეოდაც მოვაყოლო... რამდენიც არ უნდა მარგო, ხვალ ახლები ისე მარგო, ჩემს სოფელში სარგარტოდ ქრელ ყვაფილებს რა გამოდებს... გაუშარჯოს მარტის და იგის... სუსხანი ზამთრის მომრეგეს!..

ნაირა ნიშარაძე

### **სიყვი**

ციყვი შხტა ტრტემ, — ბაც... ჩამოვარდა გირჩი, — ტაც... ტაცა-ტაცუი, ბაცა-ბუცი, თხილებს გვტაცებს გასატყუი, მომჭირნეა ციყვი, სარჩოს პუნაც იცის.



ახაბზარი ლალო ტაბიშვილი



# მოცარტი

ბავშვებო!

თქვენ ხშირად მოგისმენიათ, ზოგს კი შესწავლიათ და შეგისრულებიათ კიდევ მოცარტის „ოთურქული მარში“, ექვსი ვენური სონატინა, „საბავშვო თამაშობები“, „პატარა ფრიდრიხის დაბადების დღეზე“, „გაზაფხულის მონატრება“, „ნანა“ და სხვა მუსიკალური პიესები.

ვოლფგანგ ამადეი მოცარტი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი იყო. იგი დაიბადა 1756 წლის 27 იანვარს ლარები ავსტრიელი მუსიკოსის ლეოპოლდ მოცარტის ოჯახში. მის მშობლებს შვიდი შვილი ჰყავდათ, ვოლფგანი ყველაზე უმცროსი იყო. გაქირვებამ და ხელმოკლეობამ მოცარტების ოჯახის ხუთი ბავშვი შეიწირა, დარჩენენ მხოლოდ პატარა ვოლფგანგი და მისი და, მასზე ხუთი წლით უფროსი მარია ანა, ანდა როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ—ნანერლი. შვიდი წლის ნანერლს მამამ მუსიკის შესწავლა დააწუებინა და მალე გოგონა მშვენივრად უკრავდა კლავესინზე (კლავესინი დღევანდელი ფორტეპიანოს წინამორბედი); პატარა ვოლფგანგი კი, როდესაც მისი დაიყო მეცადინეობდა, ინსტრუმენტთან სათამაშოებს მიიტანდა და იქ ერთობოდა.

ერთხელ მამამ ნანერლს რთული სონატის შესწავლა დაავალა. მალე შემოცნა, რომ ბავშვი ჩინებულად უკრავდა ნაწარმოებს. გახარებულმა ოთახის კარი შეაღო და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კლავესინთან ნანერლი კი არა, სამი წლის ვოლფგანგი დაინახა.


ოთხი წლის ვოლფგანგ ამადეიმ პირველი მუსიკალური ნაწარმოები შექმნა, ხოლო ექვსი წლისა ვირტოუზულად ფლობდა კლავესინს, ვიოლინოსა და ორგანს.

1762 წელს და-ძმა მოცარტებმა პირველი კონცერტი გამართეს ვენაში, იმპერატორის საზაფხულო სასახლეში, და ჩინებული შესრულებით აღფრთოვანებაში მოიყვანეს მსმენელები;

1762—1764 წლებში მოცარტმა კონცერტებით მოიარა საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, პოლანდია, იტალია, შვეიცარია, და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

არ იფიქროთ, რომ პატარა ბავშვისათვის ეს გასართობი მოგზაურობა გახლდათ. იმ დროს ყოველი კონცერტი 4—5 საათს გრძელდებოდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ვოლფგანგს პროგრამის მომზადება და გამეორებაც უნდა მოესწრო. მიეხვდებით, რომ იგი თითქმის მთელი დღის განმავლობაში მუსიკით იყო დაკავებული.

მით უფრო გასაოცარია, რომ მან ამასთანავე შეძლო ზედმიწევნით კარგად შესწავლა ლათინური, იტალიური, ფრანგული და



ინგლისური ენები, უყვარდა გეოგრაფია და ხატვა.

შვიდი წლის მოცარტისათვის მოუსმენია მომავალში მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოეტს ვოლფგანგ გოეთეს, რომელიც მაშინ 14 წლისა ყოფილა. აღტაცებული გოეთე მისულა მოცარტთან და უთქვამს მისთვის:

— გასაოცარია, როგორ ახერხებ ასე დიდებულად დაკვრას, აღბათ როგორი ძნელია, არა?

— სრულებითაც არ არის ძნელი! სცადეთ!—მიუგო თურმე მოცარტმა და ბავშვურად დაინტერესდა, თქვენ რაღას აკეთებთო.

— მე ლექსებს ვწერ!—უპასუხა გოეთემ.

— ლექსებს?—წამოიძახა თურმე პატარა მოცარტმა.—აი ეგ იქნება ძნელი!

— სრულებითაც არა! სცადე, აბა!—იყო თურმე პასუხი.

რვა წლისა იყო მოცარტი, როდესაც დაწერა ოთხი სონატა, რომლებმაც მას, როგორც კომპოზიტორს, საქვეყნო აღიარება მოუპოვეს; ერთი წლის შემდეგ შექმნა პირველი სიმფონია, ხოლო თორმეტი წლისამ—პირველი ოპერა „აპოლონი და გიაცინტი“.

გავიდა დრო და ვოლფგანგ ამადევი მოცარტი მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორად აღიარეს. მაგრამ მას არასოდეს დაეიწყებია თავისი ბავშვობა, და აღბათ ამიტომაც ქმნიდა საოცრად მომხიბლავ, მელოდიურ ნაწარმოებებს, რომლებიც პატარებს ასე უყვართ.


სო სიმღერას, რომლის ქართული ტექსტიც თქვენმა საყვარელმა პოეტმა ნაზი კილასონიამ შექმნა.

### მუსიკა მოცარტისა

### ბავშუხულის მონაზრება

სონატა... სონატა... სონატა...  
 ვა... ვა... ვა...  
 ...  
 ...  
 ...  
 ...  
 ...

გთავაზობთ მოცარტის ერთ-ერთ საუკეთესო



ნიკო ბაზარაშვილი


# თაგო-თაგო

ერთ საღამოს მე და ჩემს ძმას ბებიაშ გვი-  
თხრა: ახლა დაწვეით, დაიძინეთ, რომ დი-  
ლაზე ადრე აღვით, ხვალ თაგო-თაგოზე  
უნდა წავიდეთო.

თაგო-თაგობა გაზაფხულზე იცოდნენ, სახ-  
ლიდან თავებს დაითხოვდნენ ხოლმე: აქამ-  
დე ხომ ჩვენ გამოგვებთ, სითბოშიც გამ-  
ყოფეთ, ახლა წადით, უკვე დათბა. ამის შემ-  
დეგ ტყეში ათასი საკნატუნებელი იქნებაო.  
მერე ტყის პირას, ძეძვის ძირში სუფოას გაშ-  
ლიდნენ და მიიბატიყებდნენ.

ზამთარში თაგვები ჩვენცა გვყავდა სხვენ-  
ზე. ღამლამობით ღარბოდნენ, თხილსა და  
კაკალს დააგორებდნენ, მერე სადღაც მიიკუნ-  
ებოდნენ და აკნატუნებდნენ...

მეცა და ჩემს ძმასაც ძალიან გვიყვარდა  
თაგო-თაგობა.



დილით თავის დროზე ავღვქით, გაღვიძება  
არ დაგვირგებია.

ბებია უფრო ადრე ამდგარიყო და ფუს-  
ფუსებდა. დიდი ქვებით ბრინჯი მოეხარაშა,  
გაეწურა, ახლა ვერბოთი და თონეში შემწვა-  
რი უწიპწო ყურძნის ჩამიჩით ანელებდა.

მაღე ჩვენი ბიძაშვილები ნანული და მე-  
რიკოც მოვიდნენ იმათაც ძალიან უყვარ-  
დათ თაგო-თაგობაზე წასვლა.

ბებიაშ ჯერ თითო თევში ჩამიჩიანი ფლა-  
ვი გადმოგვიღო და ახლადამოყვანილი ყვე-  
ლიც მოგვიტანა. საუზმის შემდეგ კი სპი-  
ნდნის მომცრო ქვაბში ფლავი ჩაყარა, კა-  
ლათაში ქალაღში შეხვეული ყველი ჩაღო,  
ქვაბი თვითონ დაიქირა. კალათა მე მომცა.  
მერიკომ და ნანულიმ კი დაშუშული სურნე-  
ლოვანი ნიგვზებით აივსეს მუჭები.

ბებიაშ ყველანი სახლის კარებთან დაგვა-  
ყენა და გვითხრა:

— აბა ახლა სამჯერ თქვით: „თაგო, თა-  
გო, ტყეში წადი, ანგელოზო, შინ შემოდი“



ჩვენც რაც შეგვეძლო ხმამაღლა გავიმეორეთ ბებიას ნათქვამი.

წავედით. მალე პატარა მადლობზე ამავალ ვიწრო, ერთი ფეხის დადგმა ბილიცს დაედევით. წინ ბებია მიდის თავის ნაოჭიანი, გრძელი თაღბი კაბით. ბებიას ჩემი ძმა მისდევს, ჩემს ძმას—მერიკო და ნანული, მერე მე. მივდივართ ოდნავ წახრილები, ნამდვილ მთავსვლელებს ვგვვართ.

ავიარეთ აღმართი, ტყისპირში ავედით. თბილი, მზიანი დღეა, მხოლოდ ხანდახან დაუბნერავს ხოლმე მარტის სუსხიანი ნიავი. მაგრამ შაინც არა გვცივა. დავდივართ და ძეძვის ჯაგებს ვათვლიერებთ. ერთი ყველაზე ძალიან მოგვეწონა—ძეძვს ფოთლები ახლად ჰქონდა გამოჟუფთქილი, ძველი, გამხმარ, ძაფისებურ ყუნწებზე ჩამოკონწიალებული მრგვალი ყვავილებიც ისევ ზედ ესხა და ნიავის დაბერვაზე ჩხრიალი გაუდიოდა.

კალათიდან ყველი ამოვიღეთ და პატარა პატარა ნატყებები ძეძვის ეკლებს ჩამოვაცვით.



ნანულიმ და მერიკომაც თავიანთი სურნელოვანი ნიგვებზე ჩამაბარეს ეკლებში. ბებიამ ძეძვის გარშემო მიწაზე კოვზით ფლავი მიმოყარა... ჩვენ ხელიხელჩაკიდებულები ვუვლით ძეძვს გარშემო და ვმღერით:

„თაგო, თაგო, ტყეში წადი, ანგელოზო, შინ შემოდი“...

ვირბინეთ, ვიმხიარულეთ სუფთა ჰაერზე და წამოვედით.

იმ დამეს სიზმარში სულ თავგებს ვხედავდი. ვითომ ძეძვის გარშემო ჩვენს გაშლილ სუფრასთან უკანა ფეხებზე წამოყუნტებული ისხდნენ და მაღიანად შეეცქიოდნენ ყველსა და ფლავს. ზოგი ძეძვებზედაც ასულიყო, მერიკოსა და ნანულის მოტანილ დაშუშულ ნიგვებზესა ღრღნიდა.

მხიარულად იყენენ თავგები, მივიხსნებური თვლები სულ უციმციმებდათ. მე კი გული მწყდებოდა, მედარდებოდა, ასე შეუწინაღებლად რომ დავითხოვეთ თავგები სახლიდან და სადღაც შორეულ ტყეში გავლოდეთ.

# მეზობელი ხყობის



პაპა ნაცვლიშვილი

## სუეცის არხი

ვინც გეოგრაფიის სწავლა დაიწყო, იმან უსათუოდ იცის სუეცის არხი — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო გასასვლელი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას მენამულ ზღვასთან აკავშირებს და თითქმის სამჯერ ამოკლებს გზას ევროპის და ინდოეთის ოკეანის ნავსადგურებს შორის. აბა, წარმოიდგინეთ! სუეცის არხი რომ არა, ევროპის ნავსადგურებიდან, ვთქვათ ნეაპოლიდან გასულ გემს ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს პორტამდე — ბომბეიმდე მისაღწევად ჯერ ხმელთაშუა ზღვა უნდა გაველო, გიბრალტარის სრუტით ატლანტის ოკეანეში გასულიყო, მერე აფრიკის კონტინენტისთვის შემოევლო და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მთელი ინდოეთის ოკეანე გადაესერა.


ხმელთაშუა და მენამული ზღვების დაკავშირების უდიდესი სამხედრო თუ სავაჭრო მნიშვნელობა ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ გახდა აშკარა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში გაუთხრიათ მდინარე ნილოსის შესართავიდან მენამულ ზღვამდე იმპრონიდელი ზომალდებისათვის საკმარისი სივანისა და სიღრმის არხი, მაგრამ ეს წყალმარხი არხი ხშირად იფარებოდა სილით. თუმცა ეგვიპტის ძლიერების პერიოდებში მას აღადგენდნენ ხოლმე. შუა საუკუნეებშიც გადაიოდნენ აქ გემები, მაგრამ შემდეგ ეს საზღვაო გზა ისევ ქვიშით დაიფარა.


XVII-XVIII საუკუნეებში ევროპის თუ ეგვიპტის მრავალ მმართველს ეწადა ახალი არხის გაჭრა, მაგრამ ამჯერად საქმეს ისიც ართულებდა, რომ გაიზარდა ხომალდების ზომა და წყალწყა; ამიტომ გაცილებით უფ-

რო განიერი და ღრმა თხრილის გაყვანა იმ საჭირო.

მხოლოდ 130 წლის წინათ, 1854 წელს, მიიღეს ფრანგებმა ეგვიპტის მმართველ საიდ-ფაშასგან არხის გაყვანის უფლება, და 1859 წელს მშენებლობა დაიწყო. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ფრანგი ინჟინერი და დიპლომატი ფერდინანდ დე ლესეპსი. საფრანგეთ-ეგვიპტის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად 99 წლის შემდეგ არხი ეგვიპტის სახელმწიფო საკუთრებად უნდა ქვეულიყო და აი, 1956 წელს, როცა ამის დრო მოახლოვდა, ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი წინ აღუდგნენ სუეცის არხის ნაციონალიზაციას, ესე იგი მის გადასვლას ეგვიპტის მფლობელობაში. ამ აგრესიას შეეწირა ფერდინანდ ლესეპსის ძეგლი პორტ-საიდში (პორტ-საიდი დიდი ნავსადგურია, საიდანაც იწყება სუეცის არხი. სახელი ამ ქალაქს საიდ-ფაშას საპატივცემულოდ ეწოდა). ახლა ამ ადგილას მხოლოდ ქვის ვეება კვარცხლბეკი დგას.

1869 წლის 17 ნოემბერს მოხდა სუეცის არხის საზეიმო გახსნა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობს მისაღებად ჩამოვიდნენ





მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეფეები, იმპერატორები, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები. ამ დროისათვის კაიროში აშენდა ოპერის თეატრი, სადაც იტალიელმა მსახიობებმა ნარმოადგინეს დიდი იტალიელი კომპოზიტორის ფუზეკე ვერდის ოპერა „აიდა“, რომელიც კომპოზიტორმა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაწერა ისმაილ-ფაშას შეკვეთით. ისმაილ ფაშასაც დიდი წვლილი მიუძღვის სუეცის არხის მშენებლობაში. მის საპატივცემულოდ ეგვიპტელებმა არხთან მდებარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს ისმაილია უწოდეს. ისმაილიაში არის ლოცმანთა სკოლა და სუეცის არხის ლოცმანთა ცენტრი. ლოცმანი, ალბათ იცით, გემის კაპიტანს ეხმარება ამა თუ იმ რთული მონაკვეთის გავლასა და პორტებში შესვლაში. სუეცის არხის ულოცმანოდ გავლა აკრძალულია.

არხის სიგრძე პორტ-საიდიდან სუეცამდე 162 კილომეტრია. ყოველდღიურად არხში საშუალოდ 50-60 დიდი თუ პატარა გემი გადის. მაგრამ 1967 წელს, ისრაელის აგრესიის გამო, არხში ნაოსნობა დიდი ხნით შეწყდა. გემების მიმოსვლა აქ მხოლოდ 1975 წლის 1 ივნისს განახლდა. არხის ნაპირებზე დღესაც შეინიშნება მაშინდელი ბრძოლების კვალი. ხოლო ვება მინაყრილების, უფრო ზუსტად — ქვიშაყრილების უკან „ჩაასფრებულ“ ზარბაზნები გვახსენებენ, რომ სუეცის

არხი მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტია და ყოველ წუთს შეიძლება ახალი ომის ასპარეზად იქცეს. საგუშაგო ზარბაზნები დგანან პორტ-საიდის მისადგომებთანაც, ბრძოლებისაგან გარუჯული ფორტის თავზე.

სუეცის არხი მთლიანად უდაბნოზე გადის. შუა წელში ის ორ ტოტად იყოფა, სადაც ერთმანეთს გვერდს უქცევენ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მომავალი გემების ქარავნები. თუ მეზღვაურს ბედმა გაუღიმა და ეს ადგილი მზის სინათლეზე გაიარა, საოცარი სანახაობა გადაეშლება თვალწინ: შემხვედრი ქარავანი თავისი გზით მიდის, მაგრამ ყვითელ პორცევეში არ ჩანს არხის მეორე ტოტი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვება საოკეანო გემები უდაბნოში მიცურავენ. ამ სურათზე სწორედ ასეთი „საოცრებაა“ აღბეჭდილი.



კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ  
სახელმწიფო ოცნებელი  
გამგზავნი



ბაბუ მებაურიშვილი

# მოაყოლა ვარიკელა

საბძლის ახლოს, თოვლში გელამ  
გაკეთა სარეჯგველა.  
გამოაბა ჯოხს ბაწარი,  
ფიცარს წაქიბად შეუყუდა,  
ჩიტუნების მოლოდინში  
ლამის სული შეუგუბდა.  
უდარაჯებს, უდარაჯებს  
შუადღიდან საღამომდის.  
ჩიტი არ ჩანს, ვარიკელა  
ხშირად შედის და გამოდის.  
ბოლოს ველარ მოითმინა,  
გამოსხლიტა ჯოხი გელამ  
და ფიცარს ქვეშ.  
ჩიტის ნაცვლად,  
მოაყოლა ვარიკელა.

ალეკო გავია

# ჩაბი სოფელი


ყელი გაითბეს ბუხრებმა  
ბრიალა ცეცხლის ალით,  
ფერხულს უვლიან მუხებთან  
ორიპინტრე და ალი.  
ყველგან კრიალებს კარი და  
ისმის ქიშკრების ტაში.  
გოგობიტები ბარიდან  
შინ ბრუნდებიან, მთაში.  
ლულუნებს ჩემი სოფელი—  
თოვლიან მთების შვილი.  
ბაბუასავით: მომთმენი,  
ბებოს გულივით ტკბილი.



## გამოსანა


კისერმოკლე და მრგვალოთვალი, ფეხებზე ბასრი ბრტყალებით, მსხვილი, კაუჭა ნისკარტით, დიდი, ყვითელი თვალგბით, ღამ-ღამ გამოდის ბუდიდან, დღე არვინ არის მნახველი, რა ფრინველია, არ მახსოვს, თქვენ გაიხსენეთ სახელი.

დოლო გვიზიანი



შეავეთო კარიერი უჭრედები ყვავილები-სა და შეცნაოთა სახელებით ისე, რომ წითელ უჭრედებში მიიღოთ სიტყვა „გაზაფხული“.

შეადგინა თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო ხარაგიშვილიმა.



საპარტვილოს  
ალბა ცა-ისა  
და ვ. ი. ლენინის  
სახელობის  
კომუნარტა  
ორგანიზაციის  
რესპუბლიკური  
საბავშვო  
ჟურნალი  
უმცროსკლასელ-  
თათვის

მთავარი რედაქტორი ენვირ ნიჭარაძე

უღაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა

სარედაქციო კოლეგია: ელზარ ბაგრაძე, ილია ანთელავა, კუპური გომიზაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლილია შარაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მამალა მდივნიშვილი, ჯარბა ნაღიძე, გიორგი რომიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაუარი (პ. მდივანი), გივი ზვიინაძე, მანანა ხანიძე.

ტიქნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

გამოდის  
1927  
წლიდან

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მო. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/შ მდივანი — 93-10-32, 93-98-18; სახმ. რედაქტორის — 93-98-18; განკოფ. 93-98-19; 93-98-17.

საქ. კა ცა-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ДК КП Грузии

გადეცა მანუშობა 3. 1. 84 წ., ხელმოწერილია დასაბუქდალ 29. 2. 84 წ. ქალაქის ზომა 60x90<sup>1/16</sup> ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტრაჟი 162600; შეკვ. № 3. «Дня» № 3, журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э Нижарадзе. Тбилиси, Ленина 14 Ц 20 ж.

6 141/52



„კოსმოსი“ ლემან ფასკინინი

„ნატურალიზმი“ ბათუნა კოსტახაშვილი

„ჩემო პინდლაკ“ ნინო ჩაიბი



# „დიღის“ საქაოფუნო ქუჩაში

საქართველოს ბავშვთა სურათების გალერეას 15 წელი შეუსრულდა.

ქურნალ „დიღის“ რედაქცია უსურვებს მას მრავალი ნიჭიერი ბავშვისათვის გაეკვალოს ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა.

გთავაზობთ რამდენიმე ნახატს გალერეის საგამოფენო დარბაზიდან.

